# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ ნ ხიდღელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


ქვრივი გიორგის ასული კულუმბეგაშვილისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა თავის შვილის, თევდორე გიორგის ძის კულუმბეგაშვილის, გარდაცვალებასა და სთხოვს მობრძანდნენ ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც გარდაცვალებულს მიასვენებენ აუჩალის ქუჩიდგან, სახლი 33 №-რი, ორშაბათს, 11 იანვარს, დილის 10 საათზედ. (1—1)


## ქართული თეატრი

დღეს, კვირას, 10 იანვარს,

წარმოდგენილი იქნება ქართულ დრამატიულ დასის მიერ:

I

### ქაჩუა

კომედია ორს მოქმედებად, სიმღერებით, თ. რ. ერისთავისა.

II

### ბაქი-ბუქი

კომედია ორს მოქმედებად ლაბიშისა, გადმოკეთ. ფრანცულიდამ.

მოთამაშენი: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, ლეონიძისა, თამაროვისა; ბბ. კ. ყიფიანი, აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, მაქსიმძე, კანდელაკი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზედ.


ტფილისი, 9 იანვარი

ყველანი კარგად ვგრძნობთ, [illegible] მიური შემძლებლობა გვეჭირება წარმატებისათვის; თვითოეულს წოდებას ჩვენის ხალხისას ეტყობა უსწავლელობა, გაუნათლებლობა და სიღარიბე, თუმცა ბუნებით მდიდარის ქვეყნის პატრონი ვართ და ბუნებითს მხნეობას და ბეჯითობას მოკლებულნი არა ვართ. შინაური და უცხო ერთხმად გაიძახის, რომ საზოგადოდ კავკასიელი და კერძოდ ქართველი უცოდინარი და ღარიბია, და თვითოეული მათგანი გვეუბნება, ასე-და-ასე უნდა მოიქცეთ, თუ გინდათ, რომ ამ ქვეყანას შერჩეთ და ქვეყანაც შეირჩინოთო. რასაკვირველია, ყოველი აზრი, რჩევა, რომელიც შეეხება ჩვენს ცხოვრებას, ყოველს სახსარს, რომელსაც საჭიროდ სცნობენ ჩვენის ცხოვრების მოსამჯობინებლად, დიდის ყურადღებით უნდა მოვეპყრათ და თუ ის აზრი და რჩევა სამართლიანად ვიცანით, უეჭველად უნდა გამოვიყენოთ.

ბევრ სამართლიან და ჭეშმარიტ აზრის გარდა მრავალი უსაფუძვლო და უსაბუთო აზრი გვესმის ხოლმე. ზოგნი მხოლოდ იმიტომ ჰგოდებენ ხმა მაღლა ჩვენს ნაკლულევანებასა და უბედურობაზე, რომ საზოგადოდ სხვის ფეხის ხმასა და სხვის გოდებას აჰყოლიან. ამიტომაც ზოგნი მრავალს უგვანო აზრს და რჩევას გვაძლევენ და უგვანო აზრს ავრცელებენ კავკასიელთა შესახებ. ზოგჯერ იმისთანა აზრს გაიგონებთ, რომ გიკვირთ, როგორ თუ ჭკვათა-მყოფელი ადამიანი ესეთს უგვანო აზრს ჰქადაგებს და თავის აზრის დასამტკიცებლად არავითარი საბუთი არ მოჰყავს. სამწუხარო ის არის, რომ ამ გვარს აზრს მწერლობაში შეხვდებით და არა ნაკლებად სამწუხაროა, რომ იმას გასავალი აქვს როგორც ადგილობრივ მკითხველ საზოგადოებაში, ისე უცხოთა შორის. აი, მაგალითად, ჩვენს მხარეს წყალობის თვალით მოჰხედა ერთმა უცხოელმა, ბ-ნმა მურიემ, რომელმაც ხელი მიჰყო კავკასიის ისტორიისა, მწერლობისა, ხელობის შესწავლას და იგისრა უცხოელებს გააცნოს კავკასია. აი, ამ ბ-ნმა მურიემ დააარსა ტფილისში ჟურნალი «Revue commerciale et industrielle du Caucase» № 3, 1887 წ. («სავაჭრო და სამრეწველო მიმოხილვა კავკასიისა»), რომელმაც უნდა გააცნოს უცხოელებს კავკასიის ვაჭრობა და მრეწველობა. საფიქრებელი იყო, რომ ბ-ნს მურიეს ჟურნალი საფუძვლიანად შეისწავლიდა ადგილობრივს ცხოვრებას, სამართლიანად გამოიძიებდა ადგილობრივის ცხოვრების ღირსებასა და ნაკლულევანებასა, მაგრამ ფიქრი ფიქრად დარჩა და მურიემ ვერ გაამართლა ჩვენი მოლოდინი. ამ ჩვენის აზრის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილებს. მურიეს ჟურნალი ამბობს: «კავკასიის მკვიდრნი იმდენად უმეცარნი არიან, რომ ძალიან საეჭვოა, განათლება საკმაო სიჩქარით გავრცელდეს ხალხში, თუნდაც რუსეთის მმართებლობამ დიდი შრომა და ცდა გასწიოს; აგრეთვე საეჭვოა, რომ წიგნებმა მეურნეობისა, ფილოქსერისა და ადგილობრივ მრეწველობის შესახებ რაიმე სარგებლობა მოუტანოს ხალხს და ხალხმა გაიგოს ეს წიგნებიო».

როგორც ხედავთ, სწორედ რომ უნუგეშო მდგომარეობაში ვყოფილვართ, თუ ვერც რუსეთის მმართებლობის ცდა და შრომა და ვერც სამეურნეო და სამრეწველო მწერლობა სამსახურს ვერ გაგვიწევს და ვერ დაგვიხსნის დავრდომილებისაგან. როგორც ხედავთ, იმდენად გონება დახშულნი, იმდენად უძრავნი და დავრდომილნი ვყოფილვართ, რომ სწორედ იმედი უნდა დავკარგოთ წარმატებისა. მართლადაც, რა უნდა იყოს ის ადამიანი, რომელსაც ვერ დასძრავს ვერც ძლიერის მმართებლობის შრომა და მეცადინეობა, ვერც მწერლობა. სწორედ ასე ვფიქრობდით, როდესაც ზემოდ მოხსენებული სიტყვები ამოვიკითხეთ მურიეს ჟურნალში, მაგრამ ჩვენ ძალიან შევცდით. თურმე ბ-ნს მურიეს ისეთი უებარი წამალი აღმოუჩენია, რომელიც კავკასიელთ მიძინებულს გონებას დასძრავს, იმათს უმეცრებას შემუსრავს და ყველასათვის მოულოდნელად ერთს წამს შუქსა და ნათელს მოჰფენს მთელს ქვეყანას. რასაკვირველია, მკითხველი იკითხავს, თუ რა წამალი უნდა იყოს ის წამალი, რომელიც მმართებლობის შრომასა და მწერლობაზე უფრო ძლიერიაო. ამ გვარი ძლიერი წამალი ყოფილა კავკასიის სამეურნეო გამოფენა, რომლის გამართვა განიზრახა აქაურმა სამეურნეო საზოგადოებამ. თურმე გამოფენა ისეთი ძლიერი საშუალება ყოფილა, რომ თვით უმეცარ „ბიჩო“-ს უმეცრებას დასთრგუნავს ერთს წამს. ეს უმეცარი «ბიჩო» ერთს მშვენიერს დილას ერთს ადგილას ნახავს მთელის კავკასიის ნაწარმოებთა და ნამოქმედართა. პირველს წამს ეგეთი სანახაობა თვალებს დაუბრმავებს ამ «ბიჩო»-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი თან-და-თან გონზე მოვა და წარმოიდგენს, რამდენს სიმდიდრეს აძლევს უხვი მიწა და ჩინებული ჰავა იმის სამშობლო ქვეყნისა; ეს «ბიჩო», ნაკლებად ზარმაცი და უძრავი რომ იყოს, გაასასკეცებდა ამ სიმდიდრესაო.

ასე და ამ გვარად, იქ, სადაც ვერც მმართებლობის ცდა და ვერც მწერლობა ვერას გახდება, საჭიროა გამოფენა, რომელიც უმეცარს «ბიჩო»-ს ჯერ დააბრმავებს და მერე თვალს აუხელს და ქვასაც გახეთქს. აქ ადგილი არ არის და არც საჭიროა ვილაპარაკოთ გამოფენის მნიშვნელობაზედ, მხოლოდ ის-კი უნდა შევნიშნოთ, რამდენი ძლიერი ზედმოქმედება უნდა იქონიოს გამოფენამ განათლებულს ადამიანსა და ერზე, თუ რომ უმეცარს, ზარმაცს, მძინარე და ბრმა «ბიჩო»-ს დასძრავს და ნათელს მოჰფენს. მურიეს ჟურნალი იმასაც ივიწყებს, რომ მძინარე, ბანჯგვლიანი «ბიჩო» სხვა ნაწარმოებთა შორის უმეცარ „ბიჩო“-ების ნაწარმოებსაც იხილავს გამოფენაზე; მურიეს ისიც დავიწყებია, რომ ყველა კავკასიელი «ბიჩო»-ები ერთად ვერ მოგროვდებიან და ერთად ვერ დაათვალიერებენ გამოფენას. მურიეს ალბად ისა ჰგონია, რომ ის

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

ვინ მოითბო ხელი. — «გლეხთა გარდასცვეთს ქედებსა». — გორელთა კინკლაობა. — კახელი ქალები. — ქართული თეატრი და ჩვენი არტისტები.

მორიგი ჯარი რომ გამოჰყვანდათ ჩვენში, ბევრსა ჰქონდა მოლოდინი ხელის მოთბობისა. ბევრს აეშალა საღერღელი ჩინსა და მენდლებ-აპელატებზე. ბევრი ჰფიქრობდა სახელისა და პატივის, უფრო უმეტეს-კი სახრავის მოპოვებაზე. ეხლა-კიო — ჰფიქრობდნენ — კავკასიის ხალხთა და ნამეტნავად ქართველთა ერთგულობა გადაჰხეთქავს ნაპირებსა და ერთი რამ უსიამოვნება ასტყდებაო. მაგრამ ისე შენი მტერი გაწბილდეს, ჩემო მკითხველო, როგორც გაუწბილდათ ტკბილი ლოდინი ამ ვითომ ერთგულს ბატონებსა. კავკასიელებმა და უფრო უმეტეს ქართველებმა გამოიჩინეს სრული ერთგულება და არც-კი აუკანკალდათ გული ჯარში გამოსვლაზე. ძრიელ დიდი ხანი იყო ჩვენი ხალხი ჩვეული თავისის მკლავით სახელმწიფოს დაცვასა, ეს საქმე მუდამ მიაჩნდა წმინდა მოვალეობად და ამ მოვალეობის ღალატი იმის თვალში მუდამ შეადგენდა ლაჩრობასა და ქალაჩუნაობას.

გაუცუდდათ იმედი, ვინც ასე მაუთმენლად იფშვნეტდა ხელებსა და ტკბილადა ოცნებობდა პატივსა და დავლაზე. ესენი-კი ხელ-ცარიელნი დარჩნენ, ამათ-კი არა ერგოთ-რა, და ირგეს იმათ, რომელნიც სრულებით არას გამოელოდნენ ჯარის მოკრებისაგანა. ვინც-კი სოფელში ერთი კალმის მოსმა იცოდა ან მკითხაობაზე სდებდა თავსა, აბა იმან მოითბო ხელი და კარგადაც მოითბო.

ოჯახობას არ ეთმობოდა მუშა კაცის დაკლება და არასა ჰზოგავდა, ოღონდ როგორმე აეცდინა მისთვის კენჭი. ამ დროს გამოჩნდენ მრავალნი «კეთილის-მყოფნი», რომელნიც მუდამ გამზადებულნი არიან ხელთ იგდონ გაჭირებული კაცი და უარეს გაჭირებაში ჩააგდონ. ერთი რა თანხებს უშლიდა გლეხ-კაცს, მეორე — რასა: ოღონდ შენ გასამრჯელო მიჩვენე და მე ვიცი, როგორც ავაცდენ შენს შვილსა თუ ნათესავს კენჭსაო. გლეხმა კაცმაც გახსნა თავისი ძონძები და ამოჰქონდა იქიდამ შავის დღისათვის გადადებული მცირედი საბადებელი. რასაც ძონძებში ველარა შოულობდა, ფულიან კაცებს ართმევდა და გირაოდ აძლევდა ყველაფერს, რაც-კი სულს აქეთ მოეძებნებოდა.

ახალციხისაკენ თვით ყასბები და მჭედლებიც-კი არზებს უწერდნენ გლეხებს და ჰპირდებოდნენ თავიანთ «გავლენიან» დახმარებასა, რომ გლეხს არ გამოჰგვარონ სახლიდამ მუშა კაცი ჯარში წასაყვანად. ქიზიყისაკენ ბევრმა წიტრიკამ გაიტენა ჯიბე გლეხის ნაწვავ-ნადაგით. იმერეთის და ქართლის გლეხობაც დახმარებას ევედრებოდა ყველას, მოძღვარი იქნებოდა, იჯარადარი, მედუქნე, თუ სხვა მწიგნობარი. ასევე იყო კახეთში და სხვა ადგილებში.

შველით, რასაკვირველია, ვერა უშველეს-რა, ამიტომ რომ აბა კენჭს სად წაუხვალ. რაკი ჯან-მრთელობა და ასაკი გამოსადეგ კაცად გხდის, იქ მარტო ბედზეა საქმე — თუ შეგხვდა კენჭი, ხომ უნდა გახვიდე, ვერა გიშველის-რა, თუ არ შეგხვდა-და, იქნები შენთვის მშვიდობიანად. საქმე კენჭია და აბა კენჭს რას მოუხერხებ.

გლეხობას არავინ შეასმინა კენჭის მოუსყიდველობა და სოფლის მჭამლებმა გააძრეს ტყავი უმეცრებსა ტყუილის იმედებით. და რადგან

პირველ ხელ-ყოფა საქმისა

თქმულა შემდგომთა უძნელად,

ამიტომ ეს ვაჟბატონები შემდეგში უფრო დაოსტატდებიან და უფრო უარეს დღეს დააყენებენ გლეხ-კაცობასა. საქმე დაწყებაა. რაკი ერთი აეშალა თავი საქმესა, შემდეგ იმისი შეყენება ძნელია. ის უფრო გაიზრდება, გაღონივრდება, მკვიდრს ნიადაგზე მოიკიდებს ფეხსა. ეს არის ცხოვრების წესი — თუ ერთიანად არ აღმოჰხოცე ბოროტება დასაწყისშივე ის თანდისთან უფრო იმატებს.

**

აი თუნდა ისე, როგორც ამ მამასახლისობასა და სოფლის მოსამართლეობაში მოხდა. აბა, მამასახლისობაზე უანგარო მოვალეობა რომელი გვეგონა თავდაპირველ. ჩვენა ვფიქრობდით, რომ რაც უნდა ბოროტი კაცი ჩავაყენოთ ამ საქმეში, მაინც მაგოდენ საზარალოს ვერას იზამს სოფლისათვისაო. მაგრამ მამასახლისებმა ერთი-ორის წლის შემდეგ მოიპოვეს შესაფერი ცოდნა და გამოცდილება, მიიხედ-მოიხედეს ცხოვრების მოედანზედ და შეუდგნენ საქმესა. ასტყდა საყოველთაო ჩივილი და გოდება. მამასახლისებმა სოფელი მთლად ხელში ჩაიგდეს და სადაც-კი დაბალ ლობეს მიადგებოდნენ, პირ-და-პირ გადაივლიდენ ზედა. ცოტა ხნის შემდეგ მამასახლისობა სახარბიელო საქმედ შეიქნა მოხერხებულ გლეხ-კაცისათვის. სიტყვით მუქთი ხელობაა, საპატიო მოვალეობა, მაგრამ საქმით-კი ისეთი შემოსავლიანია, რომ გლეხები პირ-იქით ფულს იძლევიან, ოღონდ მამასახლისობა ჩაიგდონ ხელში. ამ სახით იარა მამასახლისობამ, იარა და ბოლოს აი სადამდე გაიზარდა: «იქნება გაგეგონოთო, — გვწერდა შარშან ბ-ნი სოსო — რომ ჩვენს ხეობაზედ, სოფ. საგარეჯოს, გიორგი-წმინდას, ნინოწმინდას, ანთოკს, აღბულაღს და მარიამ-ჯვარს, მინდორი და სახნავ-სათესი ერთმანერთ შორის გაუნაწილებელი აქვთ. ამ სოფლების მოხელეები ბოროტ-მოქმედებენ თავიანთის ფულებით და თავიანთ ნებაზე ამ მინდვრებში აყენებენ საბალახოდ გარეშე ხალხის საქონელს. ერთმა მამასახლისმა წელს ამ რიგად სამასი თუმანი აიღო, მეორემ — ასი და მესამემ — ას სამოცი. თითონ მცხოვრებლების ქირნახული და საქონელი აქ ვილა!

უმეცარი «ბიჩო»-ები, რომლებსაც გამოფენა თვალს აუხილავს, ბუკსა და ნაღარას დაუკრავენ და მთელს კავკასიაში მოჰფენენ ამბავს, გამოფენის სასწაულ-მოქმედებისას.

ამ ჟამად ამ მოკლე შენიშვნას დავჯერდეთ და დანარჩენი-კი შემდეგისათვის გადავდოთ.

ა. ნა—ლი

<>

## ახალი ამბავი

⁂ 8 იანვარს სომხის სასაფლაოზე მოხდა კაცის-კვლა. მსხვერპლად შეიქმნა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი, სედრაქ არარატოვი, რომელმაც შეასრულა სწავლა სატეხნიკო სასწავლებელში და რადგან დიდი ნიჭი გამოიჩინა მხატვრობისა, სამოსწავლო მთავრობას უნდოდა გაეგზავნა რუსეთს მხატვრობის სკოლაში სწავლის დასამთავრებლად. სედრაქ არარატოვი გასულიყო სომხის სასაფლაოზე და იქ ენახა ორი კინტო, რომელნიც ჯერ გაცხარებით ლაპარაკობდნენ, შემდეგ მოუვიდათ ჩხუბი და ცემა დაუწყეს ერთმანერთს. სხვებიც ჩარეულიყვნენ და ყველანი სცემდნენ ერთს მოჩხუბართაგანს, პატარა ბიჭსა. არარატოვი წაესარჩლა დაჩაგრულსა, ეხვეწა კინტოებს—ნუ სცემთო. იმათ არ დაიშალეს. დაუძახა პოლიციელსა. ამ დროს ერთი კინტო მივარდა არარატოვს და საშინელის ძალით მუშტი შემოჰკრა ფერდში. არარატოვი მაშინვე გარდაიცვალა. გამოძიება სწარმოებს.

⁂ გაზ. „მეურნე“ გვაცნობებს, რომ «ერთს ყმაწვილ კაცს სოფ. ოქროყანაში გაუმართავს პატარა ქარხანა, სადაც ყოველ გვარ ძაფის წინდებსა ჰქსოვენ. ქარხანაში მუშაობს ექვსი თუ შვიდი საქსოვი მაშინა და მუშებად სულ ოქროყანელი ქალები არიან. საქმე მოგებიანად სწარმოებს თურმე».

⁂ ორშაბათს, 11 იანვარს, დანიშნულია კრება ქალაქის საბჭოს ხმოსანთა. სხვა საქმეთა შორის განიხილება გამგეობის მოხსენება შესახებ საყასბოს აშენებისა.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ დეკემბრის კონცერტიდამ «წერა-კითხვის საზოგადოებას», ხარჯის გარეშე, დარჩომია ნაღდი ფული 760 მანათი.

⁂ 8 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოში ორი საქმე გაირჩა. აი პირველი საქმე რაში მდგომარეობდა: სამართალში იყვნენ მიცემულნი სოფ. სარვანის მცხოვრებელნი, ბორჩალოს მაზრისანი, ალი-მამად-ხოჯა-ოღლი, სეიდ-ასან-ორუჯ-ოღლი, მოლლა-ყული-ორუჯ-ოღლი და ხოჯა-ოღლი. ჰბრალდებოდათ ისა, რომ 26 ენკენისთვეს 1883 წ. სოფ. სოღანლუღის მახლობლად საძოვარს ადგილებში ზემოხსენებულნი ბრალდებულნი და კიდევ ორი იმათი ამხანაგი, რომელნიც გამოძიებამდის უგეშოდ მიეფარნენ, შეიარაღებულნი დაეცნენ მეცხვარეებს ტანლი-ვერდი, ალლაჰ-ვერდი-ოღლის და ალი-ყურბან-ოღლის და ძალ-დატანებით წაართვეს 29 სული ცხვარი; ამას გარდა ამ გაცარცვის დროს თოფით დასჭრეს ერთი მეცხვარე და მეორეს კეტით თავი გაუხეთქეს. ასე ამბობდა ოქმი გამოძიებისა. როცა სასამართლომ გაარჩია ეს საქმე, ბრალმდებელის ამხანაგმა უარი სთქვა, ზემოხსენებულ ბრალდებულთ ვერ გავამტყუნებ, რადგანც გასამტყუნებელი საბუთები არა სჩანსო. ოლქის საბჭომ დაადგინა, რომ ყველა ბრალდებულნი გამართლებულ იქმნანო.

⁂ მეორე საქმე იყო შემდეგი: სოფ. არჯევან-სარალის მცხოვრებელი, ბორჩალოს მაზრიდამ, 16 წლის ყმაწვილი, ალიყულ-მამად-ოღლი სამართალში იყო მიცემული იმისათვის, რომ 8-ს მაისს 1887 წ. რალაცა შურის-ძიების გამო გულზე მოსულიყო, დაეცა მკერდში ხანჯალი თავის მეზობელ ორუჯ-ბაირამ-ოღლისათვის და მოეკლა. პროკურორის ამხანაგი თხოულობდა: აეყაროს სასამართლოს მიერ ბრალდებულს ყოველივე ღირსება და ციმბირს გაიგზავნოსო, მაგრამ სასამართლომ ეს თხოვნა არ შეიწყნარა, რადგანაც სრულ-წლოვანი არ იყო დამნაშავე. სასამართლომ გარდასწყვიტა: ღირსების აუყრელად ორ წელიწად ნახევარს იქმნას დამნაშავე დაპატიმრებულიო.

⁂ დუშეთიდამ გვწერენ, რომ 30 დეკემბერს იქ მომხდარა მოქალაქეთა კრება დეპუტატის ამოსარჩევად. წარსულის წლის ანგარიშიდამ აღმოჩენილა, რომ ქალაქის ხარჯს გარეშე დარჩენილა წლევანდლისათვის 1000 მანათი. დეპუტატად ამოურჩევიათ ბ-ნი გრიგოროვი. კრებაზე სომეხთა და ქართველთა შორის რაღაც უკმაყოფილება ჩამოვარდნილა. კრებიდამ ზოგნი იძულებულნი ყოფილან შინ წასულიყვნენ. ამაზედ საჩივარი შემდგარა და ჯერ არ იციან, რითი გათავდება.

⁂ ქუთაისიდგან: დიდის მოლოდინის შემდეგ საქალაქო არჩევანი უკვე დაიწყო. ამ თთვის შვიდისათვის დანიშნული იყო არჩევა პირველის რიგის ხმოსანთა (რიცხვით 12), სხდომა გაიხსნა დილის თერთმეტ საათზე და გასტანა თითქმის ორ საათამდე. როგორც ყოველთვის საზოგადო საქმეში, «პარტიობამ» ჩვეულებრივად თავი იჩინა. მგონი მეტი არ იქნება ჩამოვთვალოთ, ვინ აირჩიეს ხმოსნებად. დღეს არჩეულ იქმნენ: 1) დ. დადიანი (16 თეთრი—2 შავი), 2) ბაქრაძე დავით (11—7), 3) გველესიანი (16—2), 4) ელიგულაშვილი (17—1), 5) კიზირია (14—4), 6) თუმანიშვილი პავლე (13—5), 7) კემულარია (12—6), 8) შნეიდერი (12—6), 9) რიქინაშვილი (11—7), 10) ადანაია (16—2), 11) ასათიანი ლუკა (13—5) და 12) აკოფაშვილი ვასილი (12—6). შემდეგი სხდომა, რომელზედაც უნდა აირჩიონ მეორე რიგის ხმოსნები, დანიშნულია ორშაბათს, 11-ს ამ თთვისას.

⁂ გაზ. «Кавказъ»-ის სიტყვით, ტფილისის საქალაქო გარდასახადიდამ შეუტანელის ფულის რიცხვი აღემატება 200 ათას მანათსა. ამ რიცხვში სახლებზე დარჩომილია 1000 მანათი, საქალაქო მამულებზე—1000 მ., დასაფასებელი გარდასახადი უძრავ ქონებასა—175 ათასი მანათი, ქუჩების ქვაფენილი და ხაზინის შესაწევარი 1879 წლისა—30 ათასი მანათი.

⁂ იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ქალბატონ ზარუდნაიას თავის ბენეფისის მთელი შემოსავალი შეუწირავს ერთის შეგირდ-ქალისათვის, რომელსაც თვითონვე ასწავლის მუსიკასა. ამ ფულით ქ-ნ ზარუდნაიას უნდა შეამთავრებინოს ახალგაზდა ქალს სამუსიკო სწავლა უმაღლეს სასწავლებელში.

—⊖⊖—

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. საგარეჯო. ბაჟის სამმართველო უწინდებურად აღარ იძლევა პატენტებს, ვიდრე მედუქნე საზოგადოების განაჩენს არ წარუდგენს. ამიტომ საგარეჯოს მედუქნეები დარბიან სახლებში და სთხოვენ გლეხებს, ხელი მოგვიწერეთო. გლეხი-კაცი წინააღმდეგიც რომ იყოს, მაინც სწერავენ სიაში და იმის მაგივრად სხვას აწერინებენ ხელსა. 13 დეკემბერს საგარეჯოს ნაცვალმა შეჰყარა ყრილობა, ყრილობაზედ დაესწრო სამოციოდე გლეხი და ამათზედ მომეტებული ვაჭრები. ვაჭრობა გარეშემო შემოერტყა ნაცვალს და მწერლის სტოლს. გლეხები განზედ იდგნენ. ნაცვალი ჰკითხავდა—გსურთ თუ არა ეს-და-ეს მედუქნე, რომ დუქანი გააღოსო. პასუხად იყო მედუქნეთა ყვირილი: გვინდა, გვინდაო. ამ სახით ყველა ვაჭარი მოაქციეს განაჩენის ფურცელზედ, თუმცა გლეხებს-კი არა სურდათ ზოგიერთ უსინდისო ვაჭრებისათვის მიეცათ ნება-რთვა. ამის შემდეგ ამოარჩიეს ბაზრის ზედამხედველებად იაგორ რევაზაშვილი, იოსებ მეზვრიშვილი და საგარეჯოს სკოლის მასწავლებელი შაქრო გულისაშვილი. უკეთუ ამ განაჩენს დაბრკოლება არ შეხვდება, იმედი გვაქვს კარგად მოუვლიან ბაზარს და წესიერებას შემოიღებენ ჩვენშიაცა.

—

შარშან თქვენი კორრესპონდენტი იწერებოდა, რომ საგარეჯოს ბანკის კასსა, თამასუქები და დავთრები თავდაყირა ტრიალებსო. ასეთი უიმედობა ბანკის შესახებ მეტად ნამეტანია ბ-ნ სოსოს მხრივ. ეს თორმეტი წელიწადია, რაც ჩვენი ბანკი არსებობს და რა ზარალი მოუვიდა იმითი, რომ ერთი კაცი აწარმოებს? ბანკის რგანის ყუთი თუნდ აღმა აბრუნდეს, თუნდ დაღმა, ეგ რა საბუთია. რომ ბანკის საქმე მეტად კარგად მიდის, მოვიყვან ანგარიშის დავთრიდგან ამოწერილ დივიდენდებს, რომელიც მისცემიათ ყოველ წლივ სრულის წილის მქონეთა 50 მანეთზე. ავიღოთ თუნდა გაბრიელ ბურთიკაშვილი, რომელსაც მიუღია 1877 წლისა—78 და 79 წ. 16 მანეთი, 1880 წ. 6 მან. 70 კ., 1881 წ. 7 მან. 50 კაპ., 1882 წ. 8 მან. 75 კ., 1883—4 წ. 11 მან. 20 კაპ., 1885 წ. 6 მან., 1886 წ. 6 მან., 1887 წ. ერგება 6 მან. 30 კ. ჯამი გამოდის 68 მან. 45 კ. წილიკი 50 მან. უკანდავად აქვს და ბევრი გლეხი, სრულის წილის მქონე, 6—7 მანეთს ყოველ წელიწადს პენსიასავით იღებს და სახელმწიფო ხარჯს იშორებს. რას უნდა მივაწეროთ ეს ამბავი?—გვონებ საქმის მწარმოებელთა ბეჯითობას, თუ თქვენც დაგვეთანხმებით, ბ-ნო სოსო.

ა. ცხვედაძე

<>

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. «Нов. Обоз.»-ს გუშინ-წინდელს ნომერში დაბეჭდილია საინტერესო მეთაური წერილი ჩვენის ქვეყნის შესახებ. გაზეთი ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანას და კავკასიას საზოგადოდ ისევ „დალუპულ ქვეყანას“ ეძახიანო და ეს ცრუ, მავნებელი ამაო-რწმენა ჯერ კიდევ თავიდამ ვერ აუცილებიათო.

არა, რა სათქმელია, რა დაბრმავებაა—ამბობს გაზეთი,—რომ ვითომ კავკასია მართლა ასეთი უკან დაწეული ქვეყანა

---

აგონდება! მოხელეებს აუყოლებიათ სოფლის ტაბარუკა და უსაქონლო მეკომურნი და ერთმანერთის ჯიბრზედ ერთი რომ რომელისამე თუშის ცხვარს ას ხუთ მანეთად აყენებდეს, მეორე ას სამ მანეთს ეუბნება, ოღონდ ფული იმას მისცენ... საწყალი სოფლელები შეიკრიბებიან მოსალაპარაკებლად, მოხელეები ყრილობას დაჰშლიან, ანგარიშის ჩამორთმევას მოუნდომებენ-და, მოხელეები მოწმებს აშინებენ მუქარით...»

ზოგს ადგილებში გუბერნატორებს წლის ჯამაგირად მხოლოდ სამასი თუმანი აქვთ, ზოგს ქვეყნებში თვით რესპუბლიკის პრეზიდენტები ვერ იღებენ ამოდენა ფულს წელიწადშია, და ივრის ხეობაზე სოფლის მამასახლისმა-კი უნდა რამდენსამე ასს კომლს გლეხობას გამოაცალოს ხელიდამ სამასი თუმანი ფული! ტყუილად-კი არ უთქვამს პოეტს:

რა უვარგისი ამაღლდეს,
ბოროტად დაიუბედებსა;
გვარიანთ დასცემს, თემთ შესჭამს,
გლეხთა გარდასცვეთს ქედებსა.

⁂

მაგრამ თუ გლეხ-კაცობას ვერ მოუწყვია თავისი დამოკიდებულება სხვა-და-სხვა დაწესებულებასთან, თუ ვერ ჩამოუგდია წესი და რიგი თავის საქმეების მართვაში,—ვერც-კი სხვა წრენი ჩვენის დალოცვილის ქვეყნისა ახერხებენ თავიანთ საქმეს ისე, რომ წუნი ვერა დასდოთ-რა. აბა ჯერ დროს გატარებაც რომ ვერ ჩაუყენებიათ ისეთს კალაპოტში, რომ აქ მაინც დამკვიდრდეს სრული ერთგულობა და თანხმობა, მოდი და რთულს საქმეს რა ნაირად უნდა გაუძღვნენ წინა.

ამ ხელად აიღეთ თუნდა გორის აგრეთ წოდებული საზოგადოება, რომელსაც დაუარსებია თავისთვის კლუბი, სადაც ყოველს წევრს ეძლევა გზა დროების გატარებისათვის, თამაშობისა, ცეკვისა და ერთმანერთის ნახვისათვის. აბა აქ ისეთი რა უნდა ედოს კაცს გულში, რომ ან სხვები გააბოროტოს, ან თავისი თავი. მოდი, იმხიარულე მოძმეთა ნახვით, ამხიარულე სხვებიცა, ითამაშე, ნახე სხვის თამაში, შეუწყე ხელი, რომ სხვებმაც ისიამოვნონ და შენცა. მერე, როცა დაიღლები, მოგწყინდება, დაუკარ მშვიდად თავი საზოგადოებასა და გასწი შენთვის სახლში. აი მთელი ის მოვალეობა, რომელიც აწევს კისერზე წევრს, როდესაც მიდის კლუბში. თუ ჰგრძნობ, რომ ამ სუბუქ მოვალეობას ვერ აიტან, ჩაიკეტე კარები და იჯექ სახლში. ნუ ეჩვენები კლუბის მეგობრებსა, რომ შენის ნახვით სხვასაც არ წაუხდინო გუნება. მორჩა და გათავდა. აბა ამაზე ადვილი ასასრულებელი საქმე სხვა იქნება-ღა რამ!..

მაგრამ ჩვენი კაცი-კი ახერხებს გული შეუწუხოს თავის მეზობელს და ასტეხოს ისეთი დავიდარაბა, რომ შორიდამ მაყურებელს ერთი ომი და ვაი-ვაგლახი ეგონოს. ეხლა გორში კლუბის ისტორია თითქმის მართალი ომია. გაუბამთ ერთი გაუთავებელი გაფელა და სწეწავენ ერთი-ერთმანერთსა. რაღაც თამაშობის გამო მომხდარი კინკლაობა საშინელ განხეთქილების საგნად გადაქცეულა. ამაზედ იმტვრევენ თავებს გორელი ქალები და კაცები, გასცემენ და გამოსცემენ. აბა ხომ

დიდს შფოთს აღადგენს ერთიცა
სიტყვა მის ენა-გრძელისა,

და ახლა მთელი ქალაქი და ისიც გორი რომ აშლის სათავეს გაცემ-გამოცემისას, მაშინ ხომ ჭკვიანმა კაცმა უნდა მოკუმოს პირი, შეკმაზოს ცხენი და გასცილდეს იქაურობას, მანამ როგორმე და როდისმე თავის თავად არ დაწყნარდება ერთხელ აღშფოთებული და გაგულისებული გორი.

⁂

არ მინდა ეს მაგალითი დაწინაურებულ საზოგადოებისა გადავიტანო იმ ორიოდე კახელ ქალებზე, რომელთაც განუზრახავთ აბრეშუმის ჭიის მოვლა სამეცნიერო წესებზე. ღმერთმა დამიფაროს იმ ურწმუნო აზრისაგან, ვითომც რაკი მთელს საზოგადოებას ვერ მოუხერხებია თავის საქმეების წინამძღვრობა, ამიტომ თვითოეული წევრიც ამ საზოგადოებისა უთუოდ გაწბილებული უნდა დარჩეს ყველაფერში, რასაც-კი ხელს მოჰკიდებს. პირ-იქით, მე მტკიცედა მრწამს, რომ ჩვენისთანა გაუწრთვნელ საზოგადოებაში, როდესაც ასე მოდუნებული და უილაჯოა ყოველივე სამოქალაქო საქმე, თუ გაკეთდება რამე, ისევ კერძო კაცის თაოსნობითა და ვაჟკაცობით გაკეთდება. თუ არ სპეტაკი და ცხოველი მაგალითი თვით იეულის კაცისა, რომელიც თავსა სდებს საქვეყნო საქმეზე,—რომელსაც ჩვენ მუდამ თვალს ვადევნებთ, რომლის ფეხის გადადგმას ჩვენა ვწონავთ და ვზომავთ,—ჰო, თუ არ ასეთი მაგალითი, ჩვენი საზოგადოება ვერ დაეღწევა დღევანდელს უწრთვნელობას, შეუგნებლობას სამოქალაქო მოვალეობათა, ვერ დაეღწევა იმ მომაკვდინებელს გულგრილობას, რომელსაც იჩენს იგი ყოველ საზოგადობრივ საქმეში.

მარტო თვითოეულ კაცსა და პატარ-პატარა ამხანაგობას შეუძლიან ცოტ-ცოტათი გაანგრიოს ჩვენის უმეცრების მაგარი კედელი, რომელიც გვიშლის ვიცხოვროთ სრულის ადამიანურის სიცოცხლითა. ამისთანა კაცებმა და ამხანაგობამ უნდა თავიანთის მაგალითით აუხილონ თვალი დაბრმავებულს საზოგადოებას, ჩაავლონ ყურში ხელი და გამოიყვანონ იმ სატრფო მოედანზედ, სადაც მეტად ნაკლები ადგილი უჭირავთ მდაბალ განზრახვას, სამარცხვინო წადილსა, წვრილ-ფეხობას, ვიწრო თავ-მოყვარეობას და სხვა ქვენარე გრძნობასა და საქციელს.

სანატრელია, რომ ხსენებული კახელი ქალები ჰგვანდნენ ამისთანა კერძო კაცებსა და პატარა ამხანაგობას, რომ მართალის გულით მოჰკიდონ ხელი ნიშანში ამოღებულს საქმესა და თავიც გამოაბან. არ დაემზგავსონ იმ კახელ ყმაწვილ ვაჟკაცებსა, რომელნიც ქვეყანას შეჰყრიან ხოლმე—აი, დავიწყეთ დიდებული საქვეყნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს. ყველას თავი დაანებეთ და მარტო ის ივარაუდეთ, რომ ოცი საუკუნეა აგერ, რაც ეს ქვეყანა ცხოვრობს ისტორიულის ცხოვრებითა და ამ ცხოვრებაში ძალა-უნებურად მონაწილეობას იღებდა ყველა წოდება, ყველა დასი მკვიდრთა მოსახლე-თა. საქმე ხომ ის არ არის, რა გვარი იყო ეს ცხოვრება, ან საბედნიეროდ თუ საუ-ბედუროდ მოეწყო და მოიმართა ამ ის-ტორიულის ცხოვრების გარემოებანი. ეს აქ მოსატანი არ არის. საქმე ის არის და სათქმელიც ის არის, რომ ცხოვრება იყო, ცხოვრება, სავსე მღელვარებითა, ზრუნვი-თა; რომ დიდი თუ პატარა ამ ქვეყანაში იღვწოდა, ჰფიქრობდა, იტანჯებოდა, იბრ-ძოდა. ამის შემდეგ შეიძლება-ღა სთქვას კაცმა, რომ ასეთს ფიქრსა და ზრუნვას წარმატებაში არ შეეყვანა იმათი გონება და აზრი, ვინც გადურჩა ოცის საუკუნის განმავლობაში მღელვარე ტალღებს ცხო-ვრებისასა?! განა შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ მარტო ჩვენში, მხოლოდ ჩვენში—და სხვაგან არსად,—დარღვეულიყო სა-ზოგადო კანონები წარმატებისა და მხნეო-ბის გაძლიერებისა? განა მარტო ჩვენში არ გადაიცემოდა მემკვიდრეობით, მამით-პაპით ნააზრი, ნაგრძნობი, ნაღვაწი და ნიჭიერნახულევი?! ოცის საუკუნის განმავ-ლობაში ბრძოლა და სულ ბრძოლა, რა-საკვირველია, ადვილი საქმე არ არის. ასეთს ბრძოლას შეუძლიან დაასუსტოს რაოდენობით რა ერიცა გნებავთ, შეუძ-ლიან დაუძაბუნოს წეს-წყობილება, აგებუ-ლება, მოუსპოს საპოლიტიკო დამოუკი-დებლობა, მაგრამ მხოლოდ რაოდენობით შეუძლიან დაასუსტოს, ხოლო თვისებით-კი, ნამდვილად-კი ეს ბრძოლა უფრო გა-აძლიერებდა, უფრო გაამხნევებდა, გააბრ-ძმედებდა იმათ, ვინც გადურჩა ასეთს მედგარს ბრძოლასა. ამას ამბობს, ამას ამტკიცებს მეცნიერება; ამასვე ეთანხმება სალი ჭკუა და მსჯელობაცა.

სხვაც რომ არა იყოს-რა, მარტო ეს გარემოებაც საკმაოაო, დაასკვნის გაზეთი,—რომ ზოგიერთნი განათლე-ბულნი ფრთხილობდნენ და არ ავრ-ცელებდნენ ისეთს აზრებს კავკასია-ზედ, რომელიც მხოლოდ თავ-ქარია-ნობისა და უმეცრების მიერ უნდა იყოს ჩაგონებულიო.

ვისაც ეს გარემოება საკმაო არა ჰგონია, ვინც მეცნიერებას ყურს არ ათხოვებს და მხოლოდ თვით დღევან-დელს ცხოვრებას უკვირდება და ამ ცხოვრებაში ეძებს საბუთებს ქვეყნის წარმატებულობისას, იმასაც შეუძ-ლიან, თუ მოინდომებს, ადვილად მიხვდეს, რა არის მიზეზი, რომ ზემო-ხსენებული ცრუ აზრები და ამაო რწმენაა გავრცელებული ჩვენს ქვე-ყანაზეო.

მიზეზი ის არისო, განაგრძობს გაზეთი, —რომ მოვა, ვსთქვათ, ჩვენში რომელიმე „სტოლონაჩალნიკი" ძველის აღთქმისა, დაბერებული დეპარტამენტში არხივარიუსთა და ეგზეკუტორთა შორის, გაიცნობს აქაურს მეთულუხჩესა და მზარეულსა და, რასაკვი-რველია, ეუცხოვება იმათი ზნეცა და ჩვე-ულებაცა, ეუცხოვება მით უმეტეს, რომ არც ერთისა და არც მეორისა თითქმის არა ესმის-რა. ახალი ცხოვრება და ახალი გარემოებანი აკვირვებს „სტოლონაჩალნიკს" იმითიცა, რომ ჩვენებურს ცხოვრებაში ვერა ჰხედავს ისეთს მოწყობილებასა და მოხერ-ხებულობას, როგორიც უნახავს სამეუფო ქალაქებში ყველა ვიგინდარას სახლ-შიაც-კი. და აი, „სტოლონაჩალნიკი" დიდის ბრძენივით გაიძახის: რა დაცემული ქვეყანაა, რა ბარბაროსობაა, რა უმეცრებააო. მორჩა და გათავდა. აღარ კითხულობს, ერთი ჭკუაზე მოვიდე, გონება მოვიკრიფო, მარ-თლა ასეთია ცხოვრება ქვეყნისა, თუ არაო; ქვეყანა სულ მეთულუხჩეებითა და მზარე-ულებით არის სავსე, თუ არიან სხვანიცა, არა მეთულუხჩეებისა და მზარეულების მსგავსნი.

თუ ასეთის „სტოლონაჩალნიკის" შეცდომას თავიდამ ავიცილებთ, აი რა უეჭველს და დაურღვეველს საბუ-თებს დავინახავთ ჩვენის ცხოვრების წარმატებულობისასაო. ავიღოთ საქა-ლაქო თვით-მმართველობა კავკასია-ში და შიდა გუბერნიებშიო. კავკასიაში თუმცა ახალი და ნორჩი დაწესებულე-ბაა თვით-მმართველობა, მაგრამ რი-კოვები არ გამოჩენილანო. პეტერბურ-გის საბჭოში რომ „ჩორნაია სოტნა" იყო, ან მოსკოვისაში—მეტრაქტირე-თა დასი, ამისთანაები ჩვენში არა გვინახავს-რაო. ამისი მიზეზი ის-კი არ არის, რომ ჩვენშიაც არ არიან ვითომ სხვის ცარცვისა და გლეჯის მოსურნენი, არამედ ის არის, რომ

ჩვენს საზოგადოებაში ისეთის გულ-გრი-ლობით არ უცქერიან საზოგადო ქონებასა და დოვლათს, როგორც იმ ქვეყნებში, სადაც ერს მშვიდობიანად უცხოვრია ძლი-ერის მთავრობის მზრუნველობის ქვეშ და ამ მთავრობას განუგია ყოველივე საერთო ინტერესები, ხოლო მოქალაქეთათვის მი-უნდვია ზრუნვა თავიანთ საკუთარს, კერძო ბედნიერებაზე, მარტო თავიანთ თავზე.

ავიღოთ თუნდა ბანკებიო. აქაც შე-დარება შიდა გუბერნიების ბანკებთან ჩვენისა ჩვენდა სასარგებლოდ უფრო ილაღადებსო.

ვინ გაიგონა შიდა გუბერნიების ბან-კების კრებაზე ის ალიაქოთი, ის ციებ-ცხელება და ვაი-ვაგლახი თუნდა მცირე-ოდენის კანონის დარღვევისა გამო, რომე-ლიც ჩვენის ბანკების კრებებზეა ხოლმე; ან ის კამათობა და კალმით ბრძოლა, რომე-ლიც ჩვენს მწერლობაში ატყდება ხოლმე საბანკო საქმეების გამო?! აბა რომელი საბანკო მოღვაწე, დიდი თუ მცირე, დაი-ჭირეს და გაამტყუნეს ან ქურდობაში, ან ფულის გაფლანგვაშიო?

აბა ჩვენში გაბედოს ვინმე, არამც თუ რიკოვისა და იუხანცოვების საქმე, არამედ თუნდა სულ უბრალო უწესოება საზოგადო დაწყობილობა-ში, რა ორონ-ტრიალი ატყდება, რა თავში-ცემა, რა ცეცხლი და ჰექა-ქუხილიო.

## უცხოეთი

საფრანგეთი. მოგვყავს სიტყვა, თქმული საფრანგეთის პალატის უხუცე-სის დეპუტატის მიერ. სიტყვა უთქ-ვამს პიერ ბლანს კრებების დაწყების წი-ნად, როგორც ჩვეულებად არის მიღე-ბული:

«ბ-ნო დეპუტატებოვო! — უთქვამს ორატორს,—ნება მიბოძეთ იმედი ვი-ქონიო, რომ წლევანდელი ჩვენი მუშაო-ბა უფრო ნაყოფიერი იქნება, ვიდრე წი-ნანდელი. ნება მიბოძეთ ვისურვო უფ-რო ისა, რომ განგრძობილ იქმნას უკვე დაწყებული საქმე რეფორმებისა და დამ-ზოგველობისა. მართალია, დიდი ვაი-ვაგლახი გამოვიარეთ, დიდი გაჭირება გადვიღეთ თავსა, მაგრამ იმ გაჭირე-ბამ და ვაი-ვაგლახმა შედეგი ის მოი-ტანა, რომ დაგვანახვა, რა მტკიცე და-წესებულებანი არიან ჩვენი დაწესებულებანი. (ამ სიტყვებზე მემარცხენეთ ტაში დაჰკრეს, ხოლო მემარჯვენეთ სიტყვა გააწყვეტინეს ორატორს.) უნდა სიმართლე ვსთქვათ ჩვენს ერზედაცა, რომელსაც სახელმძღვანე-ლოდ მიუღია გრძნობა მაღალის ზნეო-ბისა და ითხოვს, რომ მის მიერ არ-ჩეული მთავრობა ყველაზედ უწინარეს იყოს პატიოსანი და მართალი; რო-მელსაც შეუგნია, რომ თავი და თავი მფარველი კერძო ადამიანისა ის არის, რომ ყველა თანასწორი იყოს კანონის წინაშე.

პოლ-დე-კასანიაკ. თქვენ გნებავთ, რომ ქურდებმა თავისუფლად იფარფაშონ.

ორატორი. ...ერმა მოასურსა და დაამშვიდა სამართლიანად აღელვე-ბული და აღშფოთებული სინიდისი ქვეყ-ნისა; ერმა დასაჯა უკანონო ქცევისათვის ისეთნი, რომელნიც უწინდელს დროში დაუსჯელნი დარჩებოდნენ. მაგრამ უფ-რო დიდი ღვაწლი ერისა ის არის, რომ იმ გაჭირების დროს, როცა თვით სა-ხელმწიფოს უფროსსა და ბატონსაც-კი ფეხ-ქვეშ ნიადაგი გამოეცალა, თავისუფ-ლება და სიბრძნე ერმა ერთად მოათავ-სა და თავის ყოფა-ქცევით დაანახვა ქვე-ყანას, რომ იგი ღირსია თვით განა-გოს თავისი საქმენი... ამას გარდა განა სიმტკიცე რესპუბლიკისა არ დაამტკიცა იმ გარემოებამაც, რომ იმისმა მტრებმა სრული უძლურება გამოიჩინეს ამ ბოლოს დროს? (მემარცხენეთ დიდი ტაშის კვრა ასტეხეს.) მაშ მივეგებნეთ სიხარულით ჩვენს გამარჯვებას! მაშ მივეგებნეთ იმ პოლიტიკას მშვიდობიანობისა და შე-რიგებისას, რომელიც გამოაცხადა პრე-ზიდენტმა თავის ეპისტოლეში! მაგ-რამ ამასთანავე ვიქონიოთ იმედი, რომ იგი პოლიტიკა მშვიდობიანობისა და შერიგებისა არ დაუშლის გამალებულს მოქმედებას და მოღვაწეობას. ჩვენს დროში საფრანგეთს უწინარეს ყოვლი-სა სურს ისეთი მთავრობა ჰყვანდეს, რომელიც გულ-მოდგინედ უნდა ადგეს რე-ფორმების გზასა.

«როცა შარშან ჩვენის საზღვრები-დამ თოფ-იარაღის ჩხარა-ჩხური მოის-მოდა, დამშვიდებული და თავ-დაჭკვიანებუ-ლი საფრანგეთი სწორედ სასიამოვნო სანახავი იყო. (ისმის ხმა: მართალია, მშვე-ნივრად ამბობს, ძალიან კარგად ლაპარა-კობს!) რა პასუხი მისცა საფრანგეთმა იმათ, ვინც ასე გვემუქრებოდა და გვემუქ-რებოდა? იმან აღმართა თავისი დროშა, დაანახვა ქვეყანას სიმბოლო მშვიდო-ბიანობისა და გამოაცხადა სიყვარუ-ლი და კავშირი ერთა შორის ძმობისა, შრომისა და კაცად-კაცობისათვის! ასეთ-მა სიყვარულმა მშვიდობიანობისამ ყვე-ლა გააკვირვა და პატივის-ცემით აალა-პარაკა ჩვენზე ევროპაში. დროებები გა-ფანტა, მაგრამ ვითომც დიდის ხნით-კი? ამის პასუხს მერმისი იტყვის. რაც უნდა მოხდეს, მაინც ჩვენ ჩვენსას ნუ დავიშლით და იმავ თავ-დაჭერილობით, იმავ მართებულობით და სიმტკიცით მო-ვიქცეთ. ერი არასოდეს ისე ძლიერი არ არის, როგორც მაშინ, როცა ჰგრძნობს თავის უფლებასა და თან ბრძნულადაც იქცევა. ვიყვნეთ გულ-მშვიდად, მაგრამ ვიყვნეთ თან მზადაც: ჩვენ გვყავს ჯა-რი, რომელიც არც ერთს სხვა ჯარს უკან არ ჩამორჩება სიმამაცით, ძველო-ბით, სამშობლოს სიყვარულით. ამას წინად გამოვცადეთ ჩვენ ჩვენი ჯარი და დავრწმუნდით, რა გაწრთვნილი, რა მომზადებულიც არის. აი ეს ჯარი იყოს ჩვენი იმედი და ნუგეში!.. თუ ოდესმე ჩვენი მტრები გაჰბედვენ და შემოგვესე-ვიან, თუ ოდესმე უსაბაბოდ და უმი-ზეზოდ თავს დაგვესხმიან, იცოდეს ყველამ, რომ იმ დღეს ფრანგთა მკერდ-ში დაიწყებს ცემას ერთი გული—გული სამშობლოსი. იცოდეს ყველამ, რომ ვინც მოინდომებს ძალით წაგვართვას თუნდა ერთის ფეხის დადგმა მიწაც-კი, იმან უნდა გადმოიაროს მისთა დასო-ცილ მეთა გორანი!..»

## წვრილი ამბები

— 10-ს (22-ს) იანვარს სწორედ ასი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც ბაირონი დაიბადა.

— ტურინის მეცნიერებათა აკადემიას გადაუწყვეტია, რომ ბრესის პრემია— 6,000 მან. პასტერს უნდა მიეცეს ცო-ფის წამლის პოვნისათვისაო.

— დრეზდენის სოციალისტებს და-უბეჭდიათ პატარა წიგნაკი და ავრცელე-ბენ. ამ წიგნაკში მოხსენებულია სახელი, გვარი და ადრესი იმ ვაჭართა, მეყავა-ხანეთა, მესასტუმროეთა, ყასაბთა და მეწვრილმანეთა, რომელნიც უკანას-კნელს არჩევანებზე რეიხსტაგში სო-ციალისტთა დასის წინააღმდეგნი ყო-ფილან. წიგნში ნათქვამია, რომ არც ერ-თმა ჭეშმარიტმა სოციალისტმა არაფე-რი არ უნდა ივაჭროს ზემოდ დასახელე-ბულ კაცებთანაო.

— ავად გამხდარს პრინცს ხუნს, მა-მას ჩინეთის იმპერატორისას, ექიმად

მოლვაწეობა და არიქა გვაქეთ და გვადიდეთ ჩქარა, რომ სასწრაფოდ გავარდეს ჩვენი სახელი ხალხში და მოეფინოს მთელს ხმელეთსაო... დაუწყებენ ქება-დიდებასა და არ გა-ივლის ერთი წელიწადი, რომ ქე-ბული ვაჟკაცი დამპალ კიტრადაც არა ღირებულა თურმე, რომ იმას საქმისა არც თავი ჰქონია, არც ბო-ლო, არც გაგება და არც ხალისი.

საქმე, რომელიც განუზრახავთ კა-ხელს ქალებს, პატარაა, მაგრამ შე-დეგი დიდი ექნება ჩვენისთანა ნივ-თიერად დავარდნილ ხალხში. მაინც დიდის შეძლება იშვიათად დარჩება ხოლმე გამარჯვებული. დეე ისევ პატარა იყოს საგანი, რომ შევწვდე, ვიდრე დიდი და ჩემთვის მიუწვდომ-მელი. ყოველივე დიდი ნაბიჯი გა-დადგმულა მაშინ, როდესაც ტაატა-ობით უსწავლიათ ჯერ მიწაზედ ფე-ხის მოკიდება. ამისთანა ტაატაობით უნდა გამოიცადოს ადამიანი საქვეყნო სამსახურში, რომ მერე დიდს საქმე-საც შეეძიძგილოს და კიდევაც გაი-ტანოს თავი.

მაინც დღეს ჩვენში ქალი უფრო დამჯდარის ხასიათისაა და ესმის, რომ

სჯობს არ-ქადება არასი
ქადებულს მიუცემელსა.

იმიტომ სრული იმედი უნდა ვი-ქონიოთ, რომ ის კახელი ქალები მარ-თლა სისრულეში მოიყვანენ თავიანთს კეთილს განზრახვასა. იმით თავზედ ლეჩაქს მოახვევენ იმ ვაჟკაცებსა, რომელთაც «ფეხებზედა ჰკიდიათ ქვე-ყანა და ქვეყნის საქმე», და უფრო უკეთ შეასრულებენ თავიანთ საქმესა, თუ ნამეტნავად არ გამოუდგებიან ქება-დიდებასა.

**

ჩვენში ეხლა ერთს უშველებელს სენად გარდაიქცა ამ ქება-დიდების ძიება და მოეფინა ჩვენს პატარა ქვეყანას ისე, როგორც ფილოქსერა და ნაცარი ვაზსა. ვინც-კი რაიმე უმნიშვნელო ჩხირს გადააბრუნებს, ან ერთის კუთხიდამ მეორე კუთხისკენ მისწევს, ასე ჰგონია—ქვეყანა, ეს არის, ჩემზედა ჰკიდიაო, თუ მე გული ავი-ცრუე ქვეყნის ავან-ჩავანზე, ყველაფერს ბოლო მოეღება, ყოველივე ძირს დაემხობაო. ვაი, ქვეყანავ, შენი ბრა-ლი, თუ კერპად არ გამიხადე და განუწყვეტლივ არ მიკმიე საკმევე-ლიო!..

ეს სენი ყოველს წრეში გავრცელე-ბულია, მძვინვარებს და მართლა ძირს ამხობს იმ ერთი ბეწო საქმეს, რომელსაც ასე თუ ისე ცოტაოდენი ზედ-მოქმედება აქვს ჩვენს ცხოვრე-ბაზე.

მაგრამ ქება-დიდების ავადმყოფო-ბას ისე არსად არ გაუდგამს ფესვები, როგორც ქართველ არტისტთა შო-რის. რამდენიც უფრო ნიჭიერია ჩვენ-ში არტისტი და შესამჩნევი ფასი აქვს საზოგადოების თვალში, იმდენი უფ-რო დაუსრულებელს ქებას ითხოვს. და ვაი შენი ბრალი, თუ ამდენის ქებით დაილალე, დაიქანცე და მიე-ცი თავი შესვენებასა. ეხლავ ხელს ავიღებ არტისტობაზე, თავს დავანე-ბებ ქართულს სცენასაო; კი არ მა-ფასებენ და რად მინდა თქვენი თე-ატრიო.

კაცო, ღმერთი... რჯული, გაფა-სებთ, პატივსაცა გცემთ, მაგრამ, სხვა არა იყოს-რა, დავწყდით ჯანში, მო-ვილალენით, ენა გვეტკინა თქვენის ქებითა. თქვენს ღმერთსაც შეხედეთ, გვაცალეთ, პატა სული ამოვიბრუ-ნოთ და მერე ისევ გიკმევთ საკმე-ველსა. დაღლილობის გარდა, ისიც არ დაივიწყოთ, რომ მოვაბეზრეთ ერთმანერთს თავი თქვენის ქებითა.

ეს მაშინ, როდესაც ქება თავის თავად იგულისხმება. მაგრამ, თუ გა-ჩუმდი და არ აიღე ხელში საცეცხ-ლური მაშინ, როდესაც ჰნახე, რომ არტისტმა ვერ შეასრულა როლი ჯეროვანად, ან გადააჭარბა,—ბარემ აიბოძე პირი და ეცი მტკვარსა. რო-გორ თუ შენის გაჩუმებით გინდა აღიარო, ვითომც ცუდად გავატარე ჩემი როლიო! მოგდგება არტისტი საყვედურით და აღარ გაათავებს წვრილმან ანგარიშებს. იმათ ავიწ-ყდებათ, რომ ნიჭიერის კაცის წესია—

არცა ქებას აუზავდეს,
არც ძრახვისა ჰქონდეს შიში.

ქართველ არტისტების ავადმყო-ფობა ეს არის. ეს უშლის მათ საქ-მეში, და თუ ამ სენსაც როგორმე მოიგდებინებენ თავიდამ და თეატრს ემსახურებიან, როგორც საქვეყნო დაწესებულებას და არა კერძო ან-გარიშების ბუდეს,—იმის გაძლიერება-სა და წარმატებას წინ ველარა გადა-ელობება-რა.

ჯერ აი დღესაც ჩვენი თეატრი, არტისტების ნიჭიერებისა და წინა-მძღვართა სინიდისიერობის წყალო-ბით, ისეთს სიმაღლეზედ ადგას, რომ საზოგადოება მართალს სიამოვნებასა ჰხედავს წარმოდგენებზე და არ ერი-დება ხარჯსა, ოღონდ-კი დაატკბოს თავისი ესტეტიკური გრძნობა, უპო-ვოს საზრდო სულსა და გულს თე-ატრში სიარულითა.

სამისა და ოთხის წლის წინად თით-ქმის ძალით უნდა შეგვერეკათ ხალხი ქართულს თეატრში. მაშინ იქ სია-რული ეროვნულ საქმედ იყო მიღე-ბული და ვინც პატრიოტებში სთვლი-და თავსა, უთუოდ უნდა დასწრებო-და ქართულ წარმოდგენებს. დღეს თეატრში მარტო ეს მოსაზრება-კი არ გვიწვევს, არამედ შუათანა კაცი-სთვის უფრო მომეტებული ანდამა-ტის ძალა აღმოაჩნდა და ეს ძალა არის თვით გულის მოთხოვნილება. გული იწვევს, სწყურიან სიამოვნება და აბა რასა იქ, რომ არ წახვიდე, რომელიც გადაცილებით გულის წა-დილსა.

რაკი ამნაირი მიაღწია თეატრმა, ეხლა ფიქრი აღარაფრისა აქვს. ეხ-ლა ძალად წათრევა ვისიმე სრულე-ბით აღარ არის საჭირო. ეხლა თეა-ვისიცა კარგად იციან, რადგან ესმით თეატრის ფასი და კიდევაც დაიარებიან. არც არავის ჩოხას ახევს ვინმე და არც ყელს უწევს—გეთაყვა, წამოდი თეატრში. უამისოდაც ლა-მაზად მიდიან...

სანი

ინგლისელი მესხონი ადგას თურმე. ეს პირველი მაგალითია, რომ ჩინეთის სახელმწიფო გვარეულობას ევროპელ ექიმისათვის მიემართნოს.

— ბომბეის კორრესპონდენტი «Times»-ისა ამბობს, რომ ახალგაზდა ინდოელმა ქალმა, ქ-ნმა სორაბჯიმ, მშვენივრად შეასრულა სწავლა ბომბეის უნივერსიტეტშიო.

— ვიღაც გუსტერფს გამოუცია ლეიპციგში განსაკუთრებითი კატალოგი ყველა იმ ფრანგულ ენაზედ დაბეჭდილ წიგნებისა, რომლებიც შეიძლება გერმანელმა აიღოს ხელში და არ წამოწითლდეს, ზნეობრივად არ გაიხრწნესო. რაღა თქმა უნდა, რომ გუსტერფის მიერ დასახელებულ წიგნებში არც ერთი თხზულება არ ურევია ზოლასი.

— მეკონში (ამერიკაშია) შობის ღამეს შემდეგი ამბავი მომხდარა. ვიღაც რეიდს ლაპარაკი მოსვლია ცოლთან და მოუკლავს. შემდეგ მისდგომია და თავისი ექვსი ყმაწვილი, 2—12 წლამდე, დაუხოცია. მერე თავის საკუთარის სახლისათვის ცეცხლი წაუკიდებია, ასე რომ დახოცილთა გვამები შიგ ამომწვარა. სულ ბოლოს თითონაც ყელი გამოუჭრია, ჩამხტარა ჭაში და იქ დამრჩვალა. ამბობენ თურმე, რომ რეიდი ჭკუათამყოფელი არ იყოვო.

— ბლანნენფელდში მიუყვანიათ ამას წინად თოთხმეტის წლის ყმაწვილი ქალი, რომელიც 186 გირვანქას იწონს. ამისთანა სისქის გამო ყმაწვილი ქალი ისეთს გაჭირებულს მდგომარეობაშია თურმე, რომ ერთს ნაბიჯს ვერ გადასდგამს, თუ არ მოეხმარა ვინმე.

— მონტე-კარლოში მაინც-და-მაინც კიდევ ხალხი იხოცება. მაგალითებრ, წარსულის წლის დეკემბერში 8 კაცს მოუკლავს თავი. უკანასკნელად თავი მოუკლავს ერთს შუათანა საზოგადოების ქალს, რომელიც «ალისას» სახელით იყო ცნობილი. ამ ქ-ნს წაუგია თავისი დიდ-ძალი შეძლება და ყველა ბრილიანტები. ქალს თავი მოუკლავს, რადგან ყველა იმის მოტრფიალეთაც წაუგიათ თავიანთი საცხოვრებელი ბანქოში და იმას ვეღარას დაეხმარებოდნენ თურმე სიღარიბეში.

— შნეიდემიულეში შემდეგი ახირებული ამბავი მომხდარა. რამდენისამე ხნის წინად ვიღაც გუსტავ ბრაუნი ქურდობაში დაიჭირეს თურმე და ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს. ბრაუნს ციხეში დამწყვდევის დროს სამუშაოდ ჰგზავნიდნენ, ისე, როგორც სხვა ტუსაღებსაც. ერთხელ საპატიმროს ზედამხედველი, როცა ბრაუნის მუშაობას თვალყურს ადევნებდა, ტუსაღის ტანის აგებულებამ გაანცვიფრა. ბრაუნი შეამოწმეს ექიმებმა და აღმოჩნდა თურმე, რომ ტუსაღი... ქალია. საკვირველი უფრო ის არის, რომ ბრაუნს ექვსი წელიწადი იცნობდნენ თურმე შნეიდემიულეში და იცნობდნენ როგორც ქალს-კი არა, არამედ როგორც კაცსა.

## გასართობი

ილინოისში, ამერიკაშია, ამას წინად თავი მოუკლავს ერთს დიდად შეძლებულს კაცს, გვარად უატპეის, და მთელი თავისი საცხოვრებელი უანდერძნია იმ რეპორტიორისათვის, რომელიც ყველაზედ პირველად შეატყობინებს რომელსამე გაზეთს ჩემ მიერ თავის მოკვლას ახალ—ამბადაო. ეს ბედნიერი კაცი აღმოჩენილა ერთი 78 წლის რეპორტიორი ილიხოისის ერთის გაზეთისა; ამ კაცმა შემთხვევით გაიარა თურმე იმ მდიდარის კაცის სახლისკენ და მეკარისაგან შეიტყო მკვლელობის ამბავი. მოხუცს რეპორტიორს ერთი-ორიოდე გროშის აღება ნდომებია და მოკლედ შეუტყობინებია გაზეთისათვის, სულ ოთხ სტრიქონად და დანარჩენს დაწვრილებულ ცნობათა შეტყობინებას შემდეგში დაჰპირებია. ბედნიერმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ იმ ოთხის სტრიქონის წყალობით 180,000 მან. შეიძინა, რომელიც ანდერძად დაუტოვა შეძლებულმა კაცმა.

**

აქამდე ჯერ-ჯერობით ისეთი მაგალითი არა ყოფილა, რომ ადამიანიშვილს ენაზედ თმა ამოსვლოდეს. ეხლა ერთს სამკურნალო ჟურნალშია ნათქვამი, რომ სანლუის ექიმი იქაურს სამკურნალო გაზეთში ორს ამისთანა შემთხვევას მოგვითხრობსო. ერთს ამ ექიმის ავადმყოფს ენის უკანა ნაწილზე ხალი აქვს და ამ ხალზე შავი თმები ამოსვლია, მეორეს-კი ენაზე ამოსვლია ქერა თმები. ხოლო ეს ორივენი ძალიან უკმაყოფილონი არიან თურმე თავის ბედით; ერთს თმა სულ სჩხვლეტავს თურმე სასაში და მეორეს თითქმის სულთქმა უხუთდება.

აბა მონასტერი მაშინ აირევა აი, ეს ავადმყოფობა რომ გავრცელდეს. ჩვენი ჭორიკანა მანდილოსნები ჯავრით დაიხოცებიან!..

**

ახირებულნი ხალხნი არიან ეს პარიჟელები! ლამის ისე გადაარჯულონ ადამიანიშვილი, რომ ქალის ტანისამოსი კაცსა და კაცისა ქალს ჩააცვან. მაგალითებრ, ამ უკანასკნელს დროს პარიჟში სიცივებისა გამო კაცებს შემოუღიათ მუფთები. ეს მუფთები დიდრონია თურმე ქალების მუფთებზე.

**

სასაცილო ამბავი მომხდარა დარმშტადტში. ზემო პალატის წევრებმა უარი განაცხადეს თურმე, რომ ჩვენ თანახმანი არა ვართ წევრობა გავწიოთ ამა-დაამ გრაფთან ერთად, რადგან მაგ კაყბატონმა ამ 11 წლის წინად ხმალში გასვლაზედ უარი განაცხადაო. ხოლო ამავე წევრებმა თურმე იმავ დღეს დაამტკიცეს ხმის უმრავლესობით კანონ-პროექტი, რომ დუელი აკრძალულ იქმნასო. საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი!..

## დეპეშა

8 იანვარი

ჩარჯუი. გუშინ გათავდა გაკეთება ახალის ხიდისა ამუ-დარიაზე და გუშინვე გაიარა ამ ხიდზე პირველად მატარებელმა. ვაგონში ისხდნენ გენერალი ანნენკოვი, ჩარჯუელი ბეგი და მრავალნი სხვა მოწვეულნი. ხიდი სიგრძით 972 საჟენია. ამაში 809 საჟენი ზედ ღრმა წყალზეა გადებული.

მერვი. ზოგიერთის ცნობებიდამ სჩანს, რომ ეიუბ-ხანი მოკლულ იქმნა ინდოეთის მთავრობის ბრძანებითაო; ხოლო ზოგიერთის ახალის ცნობებიდამა სჩანს, რომ ეიუბ-ხანი იმყოფება მეშხეთშიო.

მუშაობა რუსეთისა და ავღანისტანის საზღვრის გასაყვანად კარგადა და დაუბრკოლებრივ სწარმოებს; 17 დეკემბერს რუსთ-ინგლისელთ კომისია, რომელშიაც იმყოფებიან კაპიტანი კომაროვი, პოდ-პოლკოვნიკი იეტი და მისტერ პიკოკი, გაემგზავრა მერუჩაკიდამ ხოჯა-სალესკენ. ახალის ხელ-შეკრულობის ძალით 2400 ოთხ-კუთხის ვერსტის საძოვრები ავღანისტანისა ჩვენსკენ გადმოვიდა. გამიჯვნის საქმე თებერვალზე ადრე არ გათავდებაო.

კიევი. დღეს წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტში წლიური აქტი იყო ჩვეულებრივის წესითა.

ვენა. გაზ. «Correspondeze est»(?) სწერენ სოფიიდამ: აქ ეჭვი აქვთ, რომ ნობანოვი მოკლული იყოსო. საზოგადოდ «ჰავასის სააგენტოს» ცნობანი ბურლასის ინციდენტის გამო სწორე ცნობანი არ იყო, რადგან სააგენტო ბოლგარიის მმართველობის წყენას მოერიდა; ის წერილები, რომელიც გამოაცხადა ამ სააგენტომ და რომელიც ეპოვნათ მოკლულ ჩერნოგორელების ჯიბეში, განგებ იყო შეცვლილი და დამახინჯებულიო. წერ-ლი რუსეთის ელჩის ხიტროვოსი მხოლოდ სარეკომენდაციო წერილია ვილაც იანოვისათვის მიცემულიო. ამ იანოვს ნდომებოდა ასეთის წერილის შემწეობით რუსეთში წასულიყოვო.

9 იანვარი

პეტერბურგი. «Гражданинъ»-ი იუწყება, რომ ფოსტისა და ტელეგრაფის უმაღლესს გამგეობას უკვე დაუდგენია, თუ როგორ უნდა გადაკეთდეს და მოეწყოს ადგილობრივი სათემო ფოსტა.

გუშინ პეტერბურგის სასამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში განხილულ იქმნა საქმე გაზეთ «Новое Время»-ს რედაქტორის ფედოროვისა, რომელსაც ბრალდებოდა ცილის-წამების განზრახ გავრცელება. საქმე ეხებოდა გერმანიის სამხედრო წარმომადგენელს, პოლკოვნიკს ვილიომს, და გარეშე მსმენელთ ნება არა ჰქონდათ დასწრებოდნენ. ფედოროვს მიუსაჯეს 150 მანეთი ჯარიმა და სატუსაღოში დამწყვდევა ექვსის კვირის ვადით.

ლონდონი. «Times»-ი იუწყება, რომ მთელი სადიპლომატო სააგენტო ავსტრიისა უეცრივ უკან დაიბარეს სოფიიდგან; სააგენტო უკვე წასულა ხუთშაბათს ვენაში.

ტულონი. აქაურს არსენალში გაცხარებული მუშაობაა; სამხედრო გემები მზად არიან ზღვაში გავიდნენ; ჯავშნიან ხომალდებისა და კრეისერებისათვის ამზადებენ საჭირო იარაღსა.

პეტერბურგის ბირჟა 8 იანვარი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო | — ,, | — ,, | 9 24 |
| ტამოჟნის კუპონები | — ,, | — ,, | 184¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | 1 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 266¾ |
| — მეორისა | — ,, | — ,, | 250¾ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 98½ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა | 98½ | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

სახელმწიფო ბანკის მოგებათა ტირაჟი 2 იანვარს 1888 წ. ხუთას მანათიანი მოგება რგებია შემდეგს 5% ბილეთებს პირველის შინაგანის სესხისას.

| №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. |
|---|---|---|---|
| 1647 | 1 | 6119 | 1 |
| 7162 | 1 | 6607 | 24 |
| 14510 | 1 | 12650 | 24 |
| 17292 | 2 | 17696 | 24 |
| 2062 | 2 | 2668 | 25 |
| 2765 | 2 | 3367 | 25 |
| 12906 | 2 | 6501 | 25 |
| 13776 | 2 | 13735 | 25 |
| 18235 | 2 | 11425 | 26 |
| 19255 | 2 | 15625 | 26 |
| 356 | 3 | 5126 | 27 |
| 5670 | 3 | 10498 | 27 |
| 6084 | 3 | 12171 | 27 |
| 6116 | 3 | 12487 | 27 |
| 8876 | 3 | 12903 | 27 |
| 14176 | 3 | 13274 | 27 |
| 16291 | 3 | 14232 | 27 |
| 449 | 4 | 173 | 28 |
| 1065 | 4 | 333 | 28 |
| 2431 | 4 | 9704 | 28 |
| 8904 | 4 | 11427 | 28 |
| 9819 | 4 | 17745 | 28 |
| 12296 | 4 | 19217 | 28 |
| 16301 | 4 | 7211 | 29 |
| 2641 | 5 | 9535 | 29 |
| 11018 | 5 | 14563 | 29 |
| 14957 | 5 | 15309 | 29 |
| 17756 | 5 | 1971 | 30 |
| 236 | 6 | 4169 | 30 |
| 14465 | 6 | 6330 | 30 |
| 14473 | 6 | 9100 | 30 |
| 15182 | 6 | 18018 | 30 |
| 3025 | 7 | 19632 | 30 |
| 4241 | 7 | 4004 | 31 |
| 8643 | 7 | 5368 | 31 |
| 10638 | 7 | 5554 | 31 |
| 11177 | 7 | 10775 | 31 |
| 13535 | 7 | 11324 | 31 |
| 750 | 8 | 16958 | 31 |
| 5058 | 8 | 4729 | 32 |
| 6293 | 8 | 6188 | 32 |
| 6961 | 8 | 6980 | 32 |
| 7368 | 8 | 16254 | 32 |
| 17169 | 8 | 17197 | 32 |
| 19525 | 8 | 18932 | 32 |
| 1906 | 9 | 19951 | 32 |
| 6889 | 9 | 2460 | 33 |
| 8728 | 9 | 9445 | 33 |
| 8802 | 9 | 14781 | 33 |
| 10549 | 9 | 19824 | 33 |
| 17575 | 9 | 1972 | 34 |
| 247 | 10 | 3064 | 34 |
| 1377 | 10 | 10573 | 34 |
| 4574 | 10 | 11672 | 34 |
| 493 | 11 | 12948 | 34 |
| 6769 | 11 | 13131 | 34 |
| 10385 | 11 | 14025 | 34 |
| 12340 | 11 | 14085 | 34 |
| 17657 | 11 | 18726 | 34 |
| 19505 | 11 | 2225 | 35 |
| 1557 | 12 | 11093 | 35 |
| 10443 | 12 | 473 | 36 |
| 447 | 13 | 8182 | 36 |
| 511 | 13 | 9903 | 36 |
| 1080 | 13 | 11419 | 36 |
| 2251 | 13 | 538 | 37 |
| 2424 | 13 | 4177 | 37 |
| 4755 | 13 | 8462 | 37 |
| 8099 | 13 | 8657 | 37 |
| 14694 | 13 | 17121 | 38 |
| 16822 | 13 | 8593 | 38 |
| 18010 | 13 | 10282 | 38 |
| 13497 | 14 | 10721 | 38 |
| 15751 | 14 | 11677 | 38 |
| 18223 | 14 | 12625 | 38 |
| 1693 | 15 | 17181 | 38 |
| 4039 | 15 | 2196 | 39 |
| 19291 | 15 | 4829 | 39 |
| 2260 | 16 | 7197 | 39 |
| 9485 | 16 | 14184 | 39 |
| 15278 | 16 | 16277 | 39 |
| 15746 | 16 | 16315 | 39 |
| 19318 | 16 | 16590 | 39 |
| 8515 | 17 | 2415 | 40 |
| 10821 | 17 | 7000 | 40 |
| 15376 | 17 | 9550 | 40 |
| 18845 | 17 | 10411 | 40 |
| 3474 | 18 | 15013 | 40 |
| 14307 | 18 | 16901 | 40 |
| 19793 | 18 | 17025 | 40 |
| 4813 | 19 | 17419 | 40 |
| 7700 | 19 | 5799 | 41 |
| 9506 | 19 | 6487 | 41 |
| 9583 | 19 | 9541 | 41 |
| 11191 | 19 | 10874 | 41 |
| 16981 | 19 | 12306 | 41 |
| 18633 | 19 | 12457 | 41 |
| 1329 | 20 | 14218 | 41 |
| 12707 | 20 | 14640 | 41 |
| 1436 | 21 | 17750 | 41 |
| 1536 | 21 | 18628 | 41 |
| 3404 | 21 | 7312 | 42 |
| 5042 | 21 | 9074 | 42 |
| 9621 | 21 | 9816 | 42 |
| 10052 | 21 | 1162 | 43 |
| 13320 | 21 | 1582 | 43 |
| 13837 | 21 | 3906 | 43 |
| 16783 | 21 | 12653 | 43 |
| 6982 | 22 | 16543 | 43 |
| 6916 | 22 | 19390 | 43 |
| 11876 | 22 | 7974 | 44 |
| 4671 | 23 | 12509 | 44 |
| 6295 | 23 | 13229 | 44 |
| 8019 | 23 | 4003 | 45 |
| 9193 | 23 | 9337 | 45 |
| 10244 | 23 | 12799 | 45 |
| 16250 | 23 | 15189 | 45 |
| 16907 | 23 | 5641 | 46 |
| 10875 | 46 | 324 | 50 |
| 16041 | 46 | 740 | 50 |
| 3826 | 47 | 756 | 50 |
| 11034 | 47 | 1199 | 50 |
| 1159 | 48 | 2601 | 50 |
| 1799 | 48 | 6289 | 50 |
| 7617 | 48 | 8896 | 50 |
| 14155 | 48 | 10141 | 50 |
| 18190 | 48 | 14885 | 50 |
| 6794 | 49 | 15889 | 50 |
| 8557 | 49 | 18388 | 50 |
| 19172 | 49 | 19470 | 50 |

ამ ბილეთების მოგებულის ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ბანკში ს.-პეტერბურგში, 1888 წელს 1 აპრილიდგან.

ნომრები სერიებისა, რომელთაც მოგება არ ერგოთ და გაბათილდნენ.

№ № серій: 17762, 10011, 16527, 17812, 2251, 19866, 7706, 6390, 67, 15724, 14484, 11912, 8157, 10948, 13642, 19247, 2784, 5467, 19116, 11063, 2824, 8892, 17585, 12324, 9791, 12719, 18662, 7308, 4954, 19707, 12020, 4952, 10173, 3627, 14876, 12673, 233, 4448, 12029, 10317, 5909, 11778, 9243, 4960, 18539, 14101, 6064, 14589, 15287, 1353, 12634, 2763, 7360, 17986, 9846, 703, 1427, 876, 11066, 13262, 1544, 6501, 8572, 15000, 6513, 15151, 2664, 3491, 1582, 3365, 15519, 17243, 19565, 8114, 16111, 7467, 10413, 16368, 7844, 599, 17943, 4231, 16988, 14844, 16340, 18011, 15969, 13880.

ამ ბილეთებისათვის ხვედრის ფულის მიღება თვითეულზე 125 მან. შეიძლება 1888 წ. 1-ლ აპრილიდგან სახელმწიფო ბანკში, მის კანტორებში და განყოფილებებში.

## სავალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე 14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

იანვარი 31 დღით არის.

10 დღე კვირა. წმ. გრიგოლ და თეოდოსისა. სომეხ. 1-ლი კვირა შობიდამ; სალამოს ნაკატონაქი.—ჭეშმარიტი შუადღე 12—12. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 5—2, მთვარე 10 დღისაა.

11 დღე ორშაბათი. დიდ. მოწ. თეოდოსესი. კათოლ. წმ. პაპა გიგინასი. მუსულ. მე 9 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12. ტფილისში მზე ამოდის 7—21, ჩადის 5—3. მთვარე 11 დღისაა. —გარდაიცვალა ქართლის მეფე ირაკლი, 1798 წ.

12 დღე სამშაბათი. წმ. ტატიანესი, პეტრესი და სავასი. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12. ტფილისში მზე-ამოდის 7—20, ჩადის 5—5. მთვარე 12 დღისაა.

## განცხადებანი

ШОКОЛАТЪ С. СІУ и К°
(50—6)